

სოფლიოპირველი პირველი კურსი - პირველი



პროფესორი რუსუდან რუსაძე - თსუ-ის ჰისტოლოგიის, ციტოლოგიის და ემბრიოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი

პირველკურსელები განსაკუთრებით ფაქიზ დამოკიდებულებას საჭიროებენ. სკოლიდან მოსულელებს უმაღლეს სასწავლებელში სრულიად განსხვავებული სტრუქტურა და ურთიერთობები ხვდებათ. მოგეხსენებათ, რამდენად მნიშვნელოვანია პირველი შთაბეჭდილებები და რამდენად რთულია ხშირად მათი შეცვლა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული პასუხისმგებლობა, რა თქმა უნდა, ჩვენ, მათ პროფესორებს, გვეკისრება. სტუდენტთა თავისი მასწავლებლისაგან არა მხოლოდ საგანს, არამედ ურთიერთობას,

ნესრიგს, ურთიერთპატივისცემას, მეტყველების კულტურას უნდა სწავლობდეს. პირველკურსელ სტუდენტებს მინდა შევახსენო, რომ მისაღები გამოცდების წარმატებით ჩაბარებით შრომა და სწავლა კი არ მთავრდება, არამედ იწყება. თითოეულმა მათგანმა კარგად უნდა გაიაზროს, რომ მხოლოდ ყოველდღიურ სწავლას მოაქვს შედეგი სამედიცინო განათლებაში. სწავლების პირველი კურსი არ არის ადვილი, მაგრამ მისი წარმატებით დაძლევა შემდგომ კურსებზე სწავლების გაადვილების საწინდარია. აღსანიშნავია, რომ სამედიცინო განათლებისთვის მემკვიდრეობითობაა დამახასიათებელი, ყველა საგანი ერთმანეთთან არის დაკავშირებული. თითოეული მათგანი უკვე ნასწავლ დისციპლინას ეყრდნობა და მომავალში შესასწავლ საგანს უქმნის ბაზისს. პირველკურსელ სტუდენტებს მინდა ვურჩიო, რომ სწავლების დროს ცალკეულ საგანში მიღებული ცოდნა განაზოგადონ და ერთმანეთთან დააკავშირონ. ამ საკითხში ძალიან მნიშვნელოვანია პროფესორ-მასწავლებლების მიერ განუვლი დახმარება, ვინაიდან დახმარების გარეშე სტუდენტებს (განსაკუთრებით პირველკურსელებს) ძალიან გაუჭირდებათ საგანთაშორის კორელაციებში გარკვევა.



რამაზ შინგალია - თსუ-ის მედიცინის ისტორიისა და ბიოეთიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, სრული პროფესორი, მედიცინის ისტორიის საერთაშორისო საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი


მედიცინის ისტორია სამედიცინო-ჰუმანიტარული დისციპლინაა, რომელიც მოწოდებულია გლობალურად და დროში გააზრებულად დინახოს მედიცინა თავისი წარმოშობისა და განვითარების ლოგიკითა და მექანიზმებით, ძირითადი ეტაპებით, სამედიცინო აზროვნების ტიპებითა და სტრუქტურებით. ამიტომაც ჰქვია ხოლმე ამ ტიპის ლიტერატურას ასე - „მედიცინის ისტორია და ზოგადი თეორია“. ბოლო ათწლეულებში დასავლეთი უფრო შორს წავიდა და ახალ ტრანსლაციონალურ მეცნიერებას დაუდო სათავე, რასაც სამედიცინო ანთროპოლოგია ჰქვია. ის აერთიანებს მედიცინის ისტორიას, ეთნომედიცინას (ტრადიციულ მედიცინას), ბიოეთიკას და კომპლექსური შესწავლის გზით აყალიბებს ერის პროფილს, მის კულტუროლოგიურ იერ-სახეს. აღნიშნულ დისციპლინას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან გონიერი მთავრობები ამ დარგის სპეციალისტებს აქტიურად რთავენ ხოლმე ჯანდაცვის სისტემების შემუშავების პროცესში. მედიცინის ისტორიის ნივთებში ქრონოლოგიურადაა მოთხრობილი ხოლმე ძველი აღმოსავლეთის და დასავლეთის ქვეყნების მედიცინის განვითარების ძირითადი ეტაპებისა და თავისებურებების შესახებ. ამ, საკმაოდ მრავალფეროვან, განსხვავებული რელიგიური და ფილოსოფიური საფუძვლების მქონე, რთულ სამედიცინო-საზოგადოებრივ სისტემებში შეძლებისდაგვარად ვცდილობთ გამოვყოთ ის მთავარი ძარღვი, რითაც იყო წარმატებული კონკრეტული ქვეყნისა თუ ეპოქის სამედიცინო ტრადიცია და იმავე მიზეზით ის შეიძლება თანამედროვეობისთვისაც საინტერესო გახდეს როგორც წმინდა თეოლოგიური ღირებულებით, ასევე, პრაქტიკული გამოყენების ასპექტში. ამ მიმართულებით დღეს, მსოფლიოს წამყვან ცენტრებში, სეროზული მუშაობა მიმდინარეობს და უნდა ითქვას, რომ ამ საქმეში ქართული სამედიცინო სკოლა ერთ-

ერთი პირველი იყო და არის. გარდა ამისა, ვცდილობთ ობიექტურად შევავასოთ და კუთვნილი ადგილი მიუჩინოთ უძველეს ქართულ (კოლხურ-იბერიულ) მედიცინას, რათა ის მსოფლიო მედიცინის განვითარების ერთიან პალიტრაში დავიხაზოთ. ქართული მედიცინის ისტორიის მკვლევრებმა (ლადო კოტეტიშვილი, მიხეილ სააკაშვილი, მიხეილ შენგელია, ციალა ჩხეიძე, ავთანდილ გელაშვილი, ბადურ რაჭველიშვილი, ჯანგიორ მამალაძე და სხვანი) უდიდესი ამაგი დასდეს დარგის განვითარებას, მაგრამ, სრულიად გასაგები ობიექტური მიზეზების გამო, მედიცინის ისტორიის, ისევე, როგორც ზოგადად საქართველოს ისტორიის შესწავლა/სწავლება, ზემოაღნიშნულ მეცნიერთა მოღვაწეობის პერიოდში მსოფლიო პროცესებიდან მაქსიმალურად იზოლირებულად ხდებოდა. დღეს ამ ხარვეზის გამოსწორება შესაძლებელია, რათა საბოლოოდ დავადგეთ თვითშეფასებისა და განვითარების სწორ გზას. ამდენად, სტუდენტისთვის პირველივე კურსიდან მედიცინის ისტორიის სწორად ათვისება მეტად საპასუხისმგებლო საქმეა და ვთვლით, რომ მომავალი თაობის სათანადო ორიენტირებისა და მოტივაციის განმტკიცების საქმეში ამ საგანს დიდი მნიშვნელობა აქვს. ამიტომაც ყველა ღონის მივმართავთ მედიცინის სამყაროში სტუდენტს ფრთხილად შევუძღვეთ, სრულად დავანახოთ თავისი წარმატებები და ულონობაც ამ მრავალფეროვან სპექტრში საკუთარი თავის ალსაქმელად; დავგზმართოთ ექიმის როლის სწორად გაგებაში. ამ მიმართულებით განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ბიოეთიკის სწავლება, რომელსაც ჩვენი დეპარტამენტი მეორე წლიდან ახორციელებს და პირველი კურსის ლოგიკურ გაგრძელებად მორჩანს. პაციენტის, ექიმისა და საზოგადოების/სახელმწიფოს რთული ურთიერთობები იკვეთება ამ საგნის სწავლების პროცესში, ყალიბდება ამ სამკუთხედში საკუთარი ადგილის პოვნის აუცილებლობა. ასე იკვერება ის წრე, რასაც, როგორც უკვე ვთქვით, სამედიცინო ანთროპოლოგია ჰქვია და რომლის აკადემიურად არაქმის გარეშე ძნელია ილაპარაკო საუნივერსიტეტო სამედიცინო განათლების სრულყოფილებაზე. მსოფლიო სამედიცინო წრეების მიერ, ქართული სკოლის დიდი აღიარების ნიშნად, მედიცინის ისტორიის მსოფლიო კონგრესი წელს თბილისში, 10-14 სექტემბერს გაიმართება. ეს უპრეცედენტო შემთხვევაა მთელი აღმოსავლეთი ევროპის მასშტაბით. ყველას ვუპატივებთ, განსაკუთრებით ახალგაზრდებს. კონგრესის ვებ-გვერდი: ishm-congress-tbilisi2014.org კონგრესის მუშაობაში მონაწილეობის სურვილი უკვე 40-მდე ქვეყნის ასეულობით მონაწილემ გამოთქვა.



პროფესორი ლელა მასხუღია - თსუ-ის ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტზე უკვე სამი წელია პირველკურსელები მომავალი პროფესიის გაცნობას „საორიენტაციო კურსის“ მეშვეობით იწყებენ. სწავლის დაწყებისთანავე სტუდენტები ეცნობიან არჩეული პროფესიის ძირითად არსს, მიზნებს, ამოცანებს და მეთოდებს, რომლებიც გამოიყენება ფიზიკურ მედიცინასა და რეაბილიტაციაში შეზღუდული ან დაკარგული ფიზიკური ფუნქციის აღსადგენად. კურსის მნიშვნელობა ძალზე დიდია, რადგან



ბელა მამულაშვილი - თსუ-ის ბიოეთიკისა და მედიცინის ისტორიის დეპარტამენტის პროფესორი

მასწავლებლობა, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით, ყოველთვის იყო და დარჩება ერთ-ერთ ყველაზე საპასუხისმგებლო და საპატიო პროფესიად. არ მეგულდება ადამიანი, რომელსაც არ ახსოვდეს სკოლის პირველი გაკვეთილი და პირველი მასწავლებელი. ასევე, პირველი ლექცია და პირველი ლექტორი. ეს პირველი შთაბეჭდილებები ყველაზე ემოციური და მნიშვნელოვანია ადამიანის ცხოვრებაში და დიდად განსაზღვრავს მის დამოკიდებულებას ზოგადად ცოდნის შექმნისადმი. ბავშვიდან ყოველთვის მასწავლებლობა მინდოდა. ბავშვებს საკონტროლოებს ვანერინებდი და ნითელი ფანქრით ვასწორებდი. ვუყვებოდი ნაკითხულ ზღაპრებს, მოთხრობებს... ეს იყო ჩემი ყველაზე დიდი გასართობი და საყვარელი საქმე. უკვე 40 წელია მასწავლებელი ვარ და ისევ ისე მიყვარს ჩემი პროფესია და ჩემი სტუდენტები. არაფერი შეცვლილა. ყველაზე საპატიო საქმე, რაც მიკეთებია და რასაც მომხალისებთ გაავაკეთებ, მათთან ურთიერთობა და მათი წარმატებებით გახარება... ბედნიერი ვარ, რომ მათ მიღწევებში ჩემი პატარა წვლილიცაა. ამიტომ ვცდილობ თვალსაწიერის გაფართოების მიზნით დავათვალიერებინო ქართული ხელოვნების, ჯანაშის სახელობის საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის, ელენე ახვლედიანის, ლადო გუდიაშვილის, უჩა ჯავახიშვილის, მოსე თოიძის, დავით კაკაბაძის, მერაბ ბერძენიშვილის, ელგუჯა ამამუკელის, კობა გურულის, ირაკლი ოჩიაურის, ესმა ონი-

არჩეული პროფესიის სიყვარულთან ერთად, იგი საშუალებას იძლევა, სტუდენტებს მიზანმიმართულად განუვითაროს ლტოლვა თანამედროვე ცოდნისა და უნარ-ჩვევების შექმნისადმი და, ამავდროულად, ხელი შეუწყოს სტუდენტის პიროვნულ ზრდას. თანამედროვე საქართველოში სამედიცინო და სოციალურ სფეროებში მიმდინარე რეფორმის მნიშვნელოვანი ნაწილი მიმართულია უნარმზღუდელი ადამიანების მაქსიმალურ ჩართულობაზე საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტის მთავარი ამოცანაა, მოამზადოს კომპეტენტური სპეციალისტი, რომელიც უზრუნველყოფს ქრონიკული დაავადებების, ტრავმის ან სხვა კლინიკური პრობლემის შედეგად განვითარებული უნარ-შეზღუდულობის მქონე ადამიანების სამედიცინო რეაბილიტაციას. თსუ-ში ყოველწლიურად იხვეწება სასწავლო პროგრამა ამ მიმართულებით - დიდია ძალისხმევა თანამედროვე თეორიული ცოდნის და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავების უზრუნველსაყოფად, ვითარდება კლინიკური ბაზები, აკადემიურ პროცესში გამოიყენება თანამედროვე მეთოდები და სასწავლო ლტერატურა, სწავლებაში ჩარ-

თულია წამყვანი ქართველი და უცხოელი სპეციალისტები, პროფესორ-მასწავლებლები, ხოლო სტუდენტთა მომზადების დონე ყოველწლიურად მატულობს. ცხოვრების ამ ახალ ეტაპზე ჩვენი პირველკურსელებს ვურჩევთ, კარგად გაერკვნენ მეტად ჰუმანური პროფესიის პრიორიტეტებსა და სირთულეებში, სასწავლო პროცესის დაწყებისთანავე განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდონ საბაზისო საგნების შესწავლას, რაც მომავალში კლინიკური დისციპლინების წარმატებულად დაუფლების მნიშვნელოვანი ნიშან-პირობას წარმოადგენს. საბაზისო ცოდნის გარეშე წარმოუდგენელია თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების შესწავლა და ადეკვატური გამოყენება, კლინიკური აზროვნების ჩამოყალიბება და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება, რის გარეშეც შეუძლებელია პროფესიული განვითარება და წარმატება. პირველკურსელებს ვურჩევთ, თავიდანვე აქტიურად ჩაერთონ სტუდენტურ სამეცნიერო პროექტებში და შეიძინონ სამეცნიერო კვლევის განხორციელების უნარ-ჩვევები, ამასთანავე, იყვნენ აქტიურნი და თავიანთი წვლილი შეიტანონ უნივერსიტეტის კულტურულ ცხოვრებაში.

არამედ უნდა დარჩეს ცოცხალი ექიმი - მართალი, პატიოსანი, ჰუმანური, მგრძობიარე, ის კეთილი მკურნალი, რომელსაც ასე ელოდნენ წარსულში და რომელიც დღესაც ასე სჭირდება ყველა სწულსა და ავადმყოფს, მათ ნათესავსა და ჭირისუფალს. ექიმობა იყო, არის და მომავალშიც მუდამ იქნება ადამიანისთვის ყველაზე საჭირო პროფესია. ექიმის ვალია თუსოს სიკეთე, დაამარცხოს ავადმყოფობა, განკურნოს სწული. ხვალ, ისევე, როგორც დღეს, იქნება ავადმყოფი. ხვალაც, როგორც დღეს, საჭირო იქნება ექიმი, ისე, როგორც დღეს, ექიმი შეინარჩუნებს თავის ღირსებას და მასთან ერთად თავის უშიშეს, სულ უფრო მზარდ პასუხისმგებლობას. სამედიცინო მეცნიერება კიდევ უფრო ზუსტი გახდება. გაუმჯობესდება მისი ტექნიკური აღჭურვილობა, მაგრამ მის გვერდით, ისევე როგორც დღეს, იქნება და მედიცინაში თავის ადგილს შეინარჩუნებს კლასიკური ტიპის ექიმი, რომლის პროფესიულ მოწოდებაა ზრუნვა ავადმყოფზე, ვინც არ უნდა იყოს იგი - მეგობარი თუ მტერი, მართალი თუ მტყუანი და ექიმის ცხოვრება დარჩება ისეთი, როგორცაა დღეს - ძნელი, შფოთიანი, გამრული და ამაღლებული. დიდი ფრანგი მოაზროვნე, ჰუმანიტი, ეგზისტენციალური ფილოსოფიის წარმომადგენელი სენტ-ეკვიპერი წერდა: „მე მნამს დადგება დრო, როდესაც ვინ იცის, რით დაავადებული ავადმყოფი მოხვდება ფიზიკოსთა ხელში, რომლებიც მას არაფერს ჰკითხავენ, აუღებენ სისხლს, გამოიყვანენ რალაც ფორმულას, გადაამრავლებენ ერთს მეორეზე, შემდეგ შეადარებენ რალაც ლოგარითმების ცხრილს და განკურნავენ ავადმყოფს ერთადერთი აბით. და მაინც, თუ მე გავხდები ავად, მივმართავ რომელიმე მოხუც სოფლის ექიმს. იგი აღმაცერად შემომხედავს, გამისინჯავს პულსს, შემდეგ ჩაახველებს, ყალიონს გააბოლებს, ნიკაპს მოისრეს და უფრო კარგად რომ მომარჩინოს, გაამიღმებს... ცხადია, მე ქედს ვიხრი ადამიანური სითბოსა და სიბრძნის წინაშე“.

მე ვეთანხმები სენტ-ეკვიპერს!



საქართველოში პირველი უნივერსიტეტი



პროფესორი ირინა ჯარნაძე – თსუ-ის ქართული ენის ცენტრის დირექტორი

– ახალგაზრდა თაობასთან მუშაობა ხელსაწყოა, თანაც ისეთი, რომ თითქმის ყველას ნაცნობ და გასაგებ საქმედ მიაჩნია, ზოგს იოლიც ჰგონია. თითქმის ყველა აღიარებს: ალზრდა მოთმინებას მოითხოვს, მაგრამ ძალიან ცოტა მისულა იმ დასკვნამდე, რომ, გარდა მოთმინებისა, ნიჭისა და რჩევისა, საჭიროა სპეციალური ცოდნაც.


უმალესი სასწავლებლის პედაგოგები არა მარტო პროფესიის დაუფლებაში ვეხმარებით ახალგაზრდობას, არამედ მოქალაქეებად ჩამოყალიბებამაც. მათთან მუშაობა საინტერესოა, მაგრამ რთული და საპასუხისმგებლოც. ისინი, ცხოვრების გზაჯვარედინზე დამდგარი, ჩვენგან მოელიან მეგზურობას. მათი უმრავლესობა პედაგოგის მიდგომებიდან და ცოდნის დონიდან განსაზღვრავს არჩევანის მართებულობას.

პირველკურსელი ახალგაზრდა მულ ბავშვს ჰგავს, პატარა გადაცემის და... „დაიკარგება“, გაქრება მასში ის პოტენციალი, რომელიც ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია საუკეთესო პროფესიონალად

ჩამოყალიბებისთვის. სამედიცინო უნივერსიტეტში შემოსვლის პირველ დღეებში ახალგაზრდები შედარებით დიდი მონდომებითა და ინტერესით ისმენენ ჩვენს ყველა სიტყვას, ჩვენგან მოელიან სიტბოსა და მხარდაჭერას. ამ საქმეში მნიშვნელოვანი როლი ეკისრება ქართული ენის ცენტრს, რომელსაც ყველაზე მეტად შეუძლია (საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე) ნელ-ნელა გადაიყვანოს პირველკურსელი უმაღლესი სასწავლებლის რთულსა და საპასუხისმგებლო გზაზე.

ქართული ენის ცენტრის სასწავლო პროგრამა ძალიან საინტერესოა. აკადემიური წერა აკადემიურ სფეროში მოღვაწეობის აუცილებელი პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაში ეხმარება სტუდენტს, კერძოდ, საჭიროა სტუდენტმა შეძლოს საკუთარი აზრის წერილობით და ზეპირად, მკაფიოდ, გამართულად ჩამოყალიბება, ასევე, ინფორმაციის მოპოვება.

ინფორმაციის მოპოვება XXI საუკუნეში ის აუცილებელი პირობაა, რომელიც შემდგომი მოქმედებების – სამეცნიერო თუ სხვა ხასიათის ტექსტის აგებასა და ვერსიფიკაციის შემუშავებაში – დაეხმარება სტუდენტს. არგუმენტირება, კრიტიკული აზროვნება და შეფასების უნარი ის აუცილებელი ჩვევებია, რაც სამეცნიერო თვალსაზრისის სტრუქტურულად ჩამოსაყალიბებლად და ტექსტის სახით გასაფორმებლად არის აუცილებელი. ამიტომ სწავლობენ სტუდენტები აკადემიური წერის სავალდებულო ელემენტებს, რაც ხელს უწყობს მათი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას – კომუნიკაციის, სწავლის და დასკვნის უნარების გამომუშავებას.



ირინა ჯარნაძე – თსუ-ის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის ჯანდაცვის მენეჯმენტის პოლიტიკისა და ეკონომიკის მიმართულების ასოცირებული პროფესორი

– როგორც პედაგოგმა, თავს უფლებას მივცემ, ვუთხრა ჩემს პირველკურსელებს:

თქვენ დგამთ პირველ ნაბიჯს და იწყებთ პროფესიის დაუფლებას, ხედვებით განსხვავებულ გარემოში, აფასებთ საკუთარ არჩევანსა და გადანყვეტილებას.

ყველაზე მნიშვნელოვანი თქვენი მოტივაცია და სწავლის სურვილია. და თუ ეს გექნებათ, არ გაგიჭირდებათ პრობლემების გადალახვა.

იყავით სამართლიანი ყველას მიმართ, ყოველთვის დაიცავით მორალური კანონები, სიტუაციის მიუხედავად, შეინარჩუნეთ მაღალი ზნეობა, ისწავლეთ მეგობრობა, გიყვარდეთ ის კედლები, სადაც პროფესიას უნდა დაუფულოთ; პროფესორ-მასწავლებლებთან ურთიერთობა ააგეთ არა დაპირისპირებაზე, არამედ ურთიერთთანამშრომლობაზე, რაც ხელს შეგიწყობთ მეტი ცოდნის მიღებაში; იყავით პრინციპული, ისწავლეთ საკუთარი პოზიციის დაცვა; იცხოვრეთ სტუდენტური ცხოვრებით, იყავით აქტიური, ისწავლეთ დამოუკიდებელი აზროვნება და გადანყვეტილების მიღება.

თქვენ აირჩიეთ პროფესია, რომლის მისია სხვათა ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვაა. ისწავლეთ სხვათა პრობლემების გაზიარება, გადადეთ ეგოისტური სურვილები და მოთხოვნები და უანგარო დახმარებისთვის მზადყოფნის პრინციპები გაიზიარეთ.

პროფესია ადამიანისთვის შემოსავლის წყაროცაა, როდესაც ის აღწევს გარკვეულ მიწიერ სიკეთეს, მაგრამ შეუფასებელია გადარჩენილი სიცოცხლე არა მხოლოდ ერთეულებისა, არამედ – მთლიანად საზოგადოებისა. უნი-

ვერსიტეტში თქვენ არა მხოლოდ პროფესიას ეუფლებით, არამედ სწავლობთ ცხოვრებას, იღებთ აზრდას; შეიძლება ყოველთვის საუკეთესო გაკვეთილები არ მიიღოთ, მაგრამ აუცილებელია ცუდიც და კარგიც.

იყავით თვითკრიტიკული და მიზანსწრაფული. ეცადეთ მხოლოდ სამართლიანად მიღწეული ნარმატებებსა და გარკვეულ მდგომარეობას საზოგადოებაში. იყავით საზოგადოების აქტიური წევრი.

ჩვენი უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტების სტუდენტებს ექნებათ საშუალება, პირველივე სასწავლო წელს მობრძანდნენ ჩვენს მიმართულებაზე – „ჯანდაცვის მენეჯმენტის პოლიტიკისა და ეკონომიკაზე“ და დაუფლონ სხვადასხვა უნარ-ჩვევებს: ანალიტიკურ აზროვნებას, გუნდურ მუშაობას, სამეცნიერო-კვლევით და პრეზენტაციის უნარებს...

ჩვენი მიზანია ხელი შევინყოთ კვალიფიციური ცოდნის მოწოდებით სწორად გაიზიაროთ მომავალი თქვენი პროფესია და ინდივიდუალური მისია.



რამაზ საყვარელიძე – თსუ-ის ნირომედიცინის დეპარტამენტის კლინიკური ფსიქოლოგიის მიმართულების პროფესორი

მომავალ ექიმებს ვუკითხავ საგანს – „ფსიქოლოგიის საფუძვლები“. თუ მედიცინაში ოდნავ ჩახედული მაინც არაა, სტუდენტისთვის გაუგებარია, რად უნდა ფსიქოლოგიის სწავლა. პირველ კურსზე ეს კითხვა ხშირად ისმოდა, მეორე კურსზე უკვე აღარ ისმის. ეს საინტერესო ნიუანსია და მიუთითებს იმაზე, რომ ახალგაზრდები დასაწყისში, ექიმის პროფესიის არჩევისას, ნაკლებად არიან განმსჭვალული იმ სულისკვეთებით, რომ პაციენტი, უპირველეს ყოვლისა, პიროვნებაა თავისი სურვილებით, ემოციებით, მსოფლმხედველობით და ა.შ. მედიცინის უკეთესად გაცნობის შემდეგ კი ხედავენ, რომ პაციენტის მსოფლმხედველობა, ემოციები თუ სურვილები შეიძლება, ერთის მხრივ, ფსიქოსომატური დაავადებების მიზეზი გახდეს და, მეორეს მხრივ – მკურნალობის ხელშემწყობ ან დამაბრკოლებელ ფაქტორად გადაიქცეს. ვისურვებდი, რომ ამ მომენტებზე მომავალი ექიმები დაფიქრდნენ ექამდე, სანამ აირჩევენ პროფესიას, რათა მთელი სისრულით დაინახონ სამედიცინო საქმიანობის ყველა ასპექტი.



პროფესორი მანანა ქუთელია – თსუ-ის უცხო ენების ცენტრის დირექტორი

ინცება ახალი ეტაპი პირველკურსელთა ცხოვრებაში, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია მათი კარიერული წინსვლისა და პიროვნული განვითარებისთვის. ამიტომაც, ძვირფასო პირველკურსელებო, გირჩევთ, მაქსიმალურად გამოიყენოთ თქვენი ძალისხმევა არჩეული პროფესიის დაუფლებისთვის. რაც შეეხება უცხო ენებს, დღესდღეობით უაღრესად მნიშვნელოვანია მათი ცოდნა, რადგან გაქვთ საშუალება იცხოვროთ ღია, გახსნილ საზოგადოებაში, სადაც მაქსიმალურად განვითარებულია ურთიერთობა უცხოეთის ქვეყნებთან.

გირჩევთ, გამოიყენოთ სკოლაში შექმნილი ცოდნა, რომელიც უნდა გააღრმავოთ, უნდა განავითაროთ სპეციალური კომპეტენციები, რათა მოგცეთ მედიცინის სფეროში უცხო ენაზე შეუფერხებელი კომუნიკაციის საშუალება.

ჩვენს უნივერსიტეტს აქვს ფართო კავშირები უცხოეთის წამყვან უნივერსიტეტებთან და კლინიკებთან, ამიტომ უცხო ენის სრულფასოვანი ცოდნა დიდ შესა-

ძლებლობებს გიხსნით თქვენს პროფესიაში.

გამოიყენეთ სტუდენტობის წლები – დაუვიწყარი და ყველაზე ბედნიერი პერიოდი თქვენი ცხოვრებისა. ითანამშრომლეთ თქვენს მასწავლებლებთან, პატივი ეცით, რადგან მათ ყოველივე საუკეთესო სურთ თქვენთვის. იცოდეთ, უცხო ენების შესწავლა სწორედ თქვენს ასაკშია ყველაზე პროდუქტიული და წარმატებული.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის უცხო ენების ცენტრი 2014 წლის 1 ოქტომბრიდან გთავაზობთ სპეციალურ კურსს UNICert-ის საერთაშორისო სერტიფიკატის (B2 და C1 დონეები) მისაღებად. ეს სერტიფიკატი აღიარებულია ევროპის ყველა უმაღლესი სასწავლებლის მიერ. გარწმუნებთ, რომ ჩვენი ცენტრი ძალისხმევას არ დაიშურებს თქვენი პროფესიული სრულყოფისთვის.



პროფესორი ალქასანდრე ჯამბაძე – თსუ-ის მათემატიკის, ინფორმატიკისა და ბიომედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი

– მათემატიკის, ინფორმატიკისა და ბიომედიცინის დეპარტამენტი ერთ-ერთი მრავალპროფილურია სამედიცინო უნივერსიტეტში.

იგი მოიცავს თითქმის ყველა ფაკულტეტს და ასწავლის ზუსტ და საბუნებისმეტყველო საგნებს. ჩვენი მიზანია პირველკურსელებს მათ მიერ არჩეული სპეციალობის შესაბამისად, დაეხმარებოდნენ საშუალო სკოლაში შესწავლილი ზუსტი და საბუნებისმეტყველო საგნების ადგილი და როლი მედიცინასა და ფარმაციაში, ვაჩვენოთ სკოლაში მიღებული ცოდნის აუცილებლობა საუნივერსიტეტო საგნების ათვისებაში, გაუფლვილოთ ცოდნის გაღრმავების სურვილი პროფესიული მოღვაწეობის პროცესში.

პირველკურსელმა უნდა იცოდეს ბუნებაში არსებული ყველა ფიზიკური მოვლენის არსი, მისი გავლენა ცოცხალ ორგანიზმზე როგორც დამაზიანებელი, ასევე, სამკურნალო კუთხით; მისი მოქმედების ბიოფიზიკური მექანიზმები; ცოცხალ სისტემაში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესების ბიოფიზიკური მექანიზმები როგორც

მაკრო, ასევე, მიკროერთეულთა დონეზე, არაბოცხალ და ცოცხალ სტრუქტურებში მიმდინარე პროცესების აღრიცხვისა და გაზომვის სიზუსტის სანდოობის განსაზღვრა; სამედიცინო კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების დამუშავება და ანალიზი მათემატიკური აპარატისა და კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით; თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების პერსპექტივების ხედვა მედიცინაში.

ჩვენს დეპარტამენტში მიღებული ცოდნა პირველკურსელს საშუალებას მისცემს, ათვისოს უნივერსიტეტში შესასწავლი ფუნდამენტური საგნები: ნორმალური და პათოლოგიური ფიზიოლოგია, ბიოქიმია, ფარმაკოლოგია, ფარმაცია (ფარმაკოდინამიკა და ფარმაკოკინეტიკა), ხოლო საუნივერსიტეტო განათლების შედეგად მიღებული ცოდნა გამოიყენოს პროფესიულ განათლებაში.



პროფესორი ჯუმბურ კუჭუხიძე – თსუ-ის ფარმაკოგნოზის და ბოტანიკის დეპარტამენტის ბოტანიკის მიმართულების ხელმძღვანელი

ეროვნული გამოცდების დებულებიდან გამომდინარე, აბიტურიენტს განაცხადში რამდენიმე პროფესია აქვს მითითებული და გამოცდების შედეგების მიხედვით ირიცხება ფაკულტეტზე, რომელიც შეიძლება ნაკლებად სასურველი იყოს მისთვის. აღნიშნული გარემოება პირველკურსელთა გარკვეულ ნაწილში დაბნეულობას იწვევს. ასეთი კატეგორიის სტუდენტებზე დადებითი გავლენის მოხდენა შეუძლიათ პედაგოგებს.

სტუდენტთა ინტერესის გასაღვივებლად საჭიროდ მიგვაჩნია პროგრამებისა და სასწავლო პროცესის სწორად შედგენა დაგეგმვა. ამ თვალსაზრისით თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფარმაკოგნოზისა და ბოტანიკის დეპარტა-

მენტი მუდმივ ძიებაშია.

თეორიულ სწავლებასთან ერთად, დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ სტუდენტთა პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას, რისთვისაც ვატარებთ სავალდებულო ბოტანიკურ ექსკურსიებს. ბუნებაში გასვლით სტუდენტები ეცნობიან ადგილობრივ ფლორას, აგროვებენ ნედლეულს და საპერბარაიუმო მასალას, რომელსაც შემდგომ სწავლობენ პრაქტიკულ მეცადინეობებზე. სასწავლო ექსკურსიები იგეგმება ისეთ მხარეებში (კოჯორი, ბეთანია, ზედაზენი, მარტყოფი, მცხეთა და სხვა), სადაც სტუდენტებს შეუძლიათ გაცნონ არა მარტო სამკურნალო მცენარეებს, არამედ ისტორიულ ძეგლებსაც. ექსკურსიების ორ-

განიზებაში აქტიურად ვერთავთ თვით სტუდენტებს, რაც ხელს უწყობს მათ ერთმანეთთან და პედაგოგებთან დაახლოებას.

ჩვენი რჩევაა, სტუდენტებმა სწორად წარმართონ თავიანთი ცხოვრების ეს საუკეთესო და განუმეორებელი წლები, ენერჯია არ დაიშურონ არჩეული პროფესიის დასაუფლებლად, რაციონალურად განაწილონ დრო სწავლისა და აქტიური დასვენებისთვის. ამ უკანასკნელში, რა თქმა უნდა, იგულისხმება მხატვრული ლიტერატურის გაცნობა, მუზეუმების, ფილმებისა და სპექტაკლების ნახვა.

ჯანმრთელი, განსწავლული და ინტელექტუალური ახალგაზრდობა ქვეყნის წარმატებული მომავლის საწინდარია.



მედიცინის სფეროში

ჩვენი ამდენად მიჯნადით პირველად სპეციალური ცენტრი დაიხსნა და მთავარ მიზანს ისახავს მთელი საქართველოს მკურნალობის ხარისხის ამაღლებას და მთავარ მიზანს ისახავს მთელი საქართველოს მკურნალობის ხარისხის ამაღლებას...

ფიზიკის უნიკალური შესაძლებლობანი დაავადებათა გამოვლენასა და განკურნებაში

სვლას მედიცინის სამყაროში მომავალი ექიმები უფრო მეტი მედიცინის შესწავლით ინტერესდებიან, სადაც ფიზიკა ერთ-ერთ მნიშვნელოვან საგნად განიხილება. მის განვითარებაზე ხომ დიდწილად დამოკიდებულია მედიცინის კერძოდ, სადიაგნოსტიკო მედიცინის წინსვლა. სირთულის გამო, ფიზიკა არცთუ იოლად დასაძლევ საგანთა კატეგორიაში მოიაზრება, ამიტომაც მისი შესწავლა ადვილი არაა. რას ურჩევდით ახალგაზრდებს - მომავალ ექიმებს, რა უნდა გაითვალისწინონ იმისთვის, რომ წამდელიდან გახდნენ დროის მოთხოვნათა შესაფერად განსწავლულნი და შეძლონ, მაქსიმალურად გააკეთონ ის, რასაც მათ სამომავლოდ მედიკოსის რთული პროფესია დააკისრებთ?

თანამედროვე მედიცინის განვითარება მჭიდროდაა დაკავშირებული აღმოჩენებთან საფუნდამენტურ მედიცინის სფეროში, მათ შორის, ფიზიკის ერთ-ერთი საპატიო ადგილი უკავია. უკანასკნელი ორასი წლის განმავლობაში მედიცინის ცოცხალი სისტემების ფუნქციონირების გაგებას ძირითადი ფიზიკური კანონების თვალსაზრისით ცდილობენ. ამ ძალისხმევას შედეგად, თვალსაჩინო წარმატებები იქნა მიღწეული. დადგენილია ბიოლოგიურად მნიშვნელოვანი მოლეკულების ატომური შემადგენლობა და ამ მოლეკულების როლი ცოცხალი სისტემების ფუნქციონირებაში; შესაძლებელი გახდა უჯრედთა ფუნქციების ახსნა, დადგენილია მათი ურთიერთქმედებების მექანიზმები, უჯრედული კვების, ზრდის, რეპროდუქციული და სასიგნალო პროცესების თავისებურებანი. მაგრამ კვლავ ბევრი რამ აუხსენელია, ძირითად კითხვებს ბიოლოგიის დარგში პასუხი არა აქვს. თუმცა, ბიოლოგიურ ობიექტებში ჯერჯერობით არაა გამოვლენილი არცერთი პროცესი და მოვლენა, რომელზეც ფიზიკური კანონები არ ვრცელდება. როგორც ჩანს, სიცოცხლის საოცარი კანონზომიერებანი და გამოვლინებები განპირობებულია ცოცხალი სისტემების განსაკუთრებით რთული ორგანიზაციით.

მედიცინაში ფიზიკურ პრინციპებზე აგებული სადიაგნოსტიკო და თერაპიული მეთოდების გამოყენება მრავალი დაავადების გამოვლენის და განკურნების საშუალებას იძლევა, რაც ამ მეთოდების უნიკალურ შესაძლებლობებს და ეფექტურობას უკავშირდება. როგორც უმარტივესი ფონენდოსკოპი და წნევის გამზომი აპარატი, ასევე, ატომ-ბირთვის რადიოაქტიურობისა და ელექტრომაგნიტური გამოსხივების ბაზაზე აგებული ურთულესი მონოპოლინობები (პოზიტრონ-ემისიური ტომოგრაფიები - PET, რენტგენის აპარატები, ცილოტრონიები, მაგნიტური რეზონანსის ტომოგრაფიები და ა.შ.), რომელთა გარეშე წარმოდგენილია თანამედროვე მედიცინა. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში აბერკოსა და ევროპის განვითარებულ ქვეყნებში გამოკვლევათა სიმძიმე მხოლოდ კომპიუტერულ ტომოგრაფიაში, დაახლოებით, 60-ჯერ გაიზარდა და წარდის ეს ტემპი სადღეისოდ არ იკლებს. სამედიცინო ვიზუალიზაცია დიაგნოსტიკისთვის უმთავრესი საყრდენია, ამიტომ მუდამ მიმდინარეობს ტექნოლოგიების განვითარება და დახვეწა.

ჩვენი ამოცანაა ხაზი გაესვას ფიზიკური პროცესების უნიკალურობას ცოცხალ და არაცოცხალ ბუნებაში, ერთეულ უჯრედსა და მრავალუჯრედოვან ცოცხალ ორგანიზმში, მივანოლოთ პირველკურსელს საბაზისო ცოდნა ცოცხალ ორგანიზმში მიმდინარე პროცესებისა და მოვლენების მექანიზმების შესახებ, რომელიც აუცილებელია ადამიანის ფიზიოლოგიის შესწავლისთვის, კლინიკური დისციპლინების სრულყოფილად დაუფლებებისთვის.

„ბიოფიზიკისა და სამედიცინო ფიზიკის“ შესწავლის წინაპირობა არ

სცდება სასკოლო პროგრამის ფარგლებს, რაც, ბიოლოგიისა და ქიმიის ელემენტარულ ცოდნასთან ერთად, გარკვეული ფიზიკური ცნებებისა და საბაზისო კანონების ცოდნას გულისხმობს და მის გარეშე შეუძლებელია ცოცხალ ორგანიზმში მიმდინარე პროცესების გაგება.

ხშირ შემთხვევაში, ქართველი სტუდენტების სასკოლო პროგრამის არადაამაკმაყოფილებელი ცოდნის გათვალისწინებით, სასწავლო პროცესის გაადვილების მიზნით, ჩვენს სახელმძღვანელოებში მოცემულია ის ძირითადი ცნებები და კანონები, რომლებიც ჩვეულებრივად ისწავლება სკოლის პროგრამის ფარგლებში. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლებში სულ უფრო და უფრო იზრდება იმ სტუდენტთა რაოდენობა, რომლებიც გამოირჩევიან საკმაოდ მაღალი მოზაზღვების დონით და დიდი ინტერესით სავსე მიმართ. ამის დასტურია ყოველწლიური სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციები - „ფიზიკა მედიცინაში“, რომელიც გამოირჩევა მონაწილეთა სიმრავლით და საინტერესო თემატიკით.

ფიქრობ, მომავალმა ახალგაზრდა ექიმებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ მათი პროფესია ერთ-ერთი ყველაზე რთული და საპასუხისმგებლოა, რომ ექიმის პატარა შეც-

ვამენ სამეცნიერო კვლევებში მონაწილეობის სურვილს. დარწმუნებული ვარ, ბევრი მათგანი ბოლომდე ერთგული დარჩება არჩეული პროფესიის და ასეთი ნამდვილად შეიძლება მივიჩნიოთ ჩვენი ქვეყნის ჯანმრთელი მომავლის გარანტიად.

სამედიცინო უნივერსიტეტში, ქართველებთან ერთად, უცხოელებსაც ასწავლით. რამდენად განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისგან, ვთქვათ, სწავლისადმი დამოკიდებულებით, ინტერესების სფეროთი, ინტელექტით?

უნდა გითხრათ, რომ უცხოელი სტუდენტების უმრავლესობა ყოველთვის გამოირჩეოდა სწავლისადმი მოტივირებით, მიზანსწრაფულობით ხარისხიანი ცოდნის მისაღებად და პროფესიის დასაუფლებლად. როგორც უკვე აღვნიშნე, ბოლო წლებში საკმაოდ გაიზარდა ქართველი სტუდენტების რაოდენობა მოზაზღვების დონე, ასევე, ცოდნის მიღების მოტივაცია და ინტერესი არჩეული პროფესიისადმი. ეს კიდევაც აღინიშნა ჩვენს მე-5 რიგით კონფერენციაზე - „ფიზიკა მედიცინაში“, რომელიც ორგანიზებული იყო თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის და სამედიცინო ფიზიკისა და ბიოფიზიკის

ბის სისტემების განვითარებას, ეს მედიცინის ხელოვნური დღეა.

მედიცინაში დოზათა რეგულაციის თანამედროვე კონცეფცია, რომელიც ეფუძნება „კლინიკურად გაუმართლებელი“ დოზური დატვირთვის მინიმიზაციას რადიოლოგიურ პროცედურათა „დასაბუთებისა“ და „ოპტიმიზაციის“ გზით, 2008 წელს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ იქნა დეკლარირებული, ხოლო 2011 წლიდან მოთხოვნების სახით დაფიქსირებულია ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს (IAEA) უსაფრთხოების საერთაშორისო საბაზისო სტანდარტებში. აღნიშნული სტანდარტები „პრაქტიკოსი“ რადიოლოგიის პროფესიულ კომპეტენციებს ახალ მოთხოვნებს უყენებს, დღის წესრიგში დგება სამედიცინო და რადიაციული ფიზიკის, რადიობიოლოგიისა და რისკების ანალიზის საფუძვლები გაღრმავებული ცოდნის აუცილებლობა. სწორედ ამიტომ IAEA-ს 2013-20 წლების ძირითად სტრატეგიად (55th IAEA General Conference, Vienna,



დომაც კი საბედისწერო შეიძლება აღმოჩნდეს პაციენტისთვის და მისი სიკვდილის მიზეზად იქცეს. ურჩევდი მათ, განსაკუთრებით დიდი ყურადღება მიაქციონ საბაზისო დისციპლინებს, მიიღონ ის აუცილებელი ცოდნა, რომელიც საშუალებას მისცემს საფუძვლიანად დაეუფლონ არჩეულ პროფესიას და პაციენტთან პირისპირ, სწრაფად გაანალიზონ გამოკვლევების შედეგები და შეძლონ, მაქსიმალურად გააკეთონ ის, რასაც მათ ექიმის რთული, მაგრამ უაღრესად მნიშვნელოვანი პროფესია ავალებს - გადაარჩინონ ავადმყოფი.

პედაგოგის გადასახედიდან ალბათ ყველაზე კარგად ჩანს ახალგაზრდების დამოკიდებულება სწავლისადმი. ვფიქრობ, წლების განმავლობაში, სრულყოფილი წარმოდგენა შეექმნათ მათზე. იცით რა მათი სურვილების და შესაძლებლობების შესახებ, როგორ შეაფასებდით ახალგაზრდა თაობის - მომავალი ექიმების - მზაობას არჩეული პროფესიის დაუფლებისთვის. რამდენად ბევრია მათ შორის გამოჩენილი - მედიცინის ხელოვნური დღის იმედად რომ შეიძლება მივიჩნიოთ?

ჩვენს დეპარტამენტში სტუდენტები, ასე ვთქვათ, პირდაპირ სკოლის მერხიდან ხვდებიან, ისე რომ, ჩვენ გვინებს მათთვის არა მარტო ახალი დისციპლინის სწავლება, არამედ იმ ხარვეზების გამოსწორებაც, რომლებიც მოჰყვება მათ სკოლიდან. დიდი სიამოვნებით მინდა აღვნიშნო, რომ ბოლო წლებში სულ უფრო იზრდება სტუდენტების მოზაზღვების დონე, საკმაოდ დიდი იმ სტუდენტების რაოდენობაც, რომლებიც იჩენენ საგრძნობ ინტერესს საგნის მიმართ, ჩართულნი არიან დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში. სასიამოვნოა, რომ სტუდენტები არ კარგავენ ჩვენს დეპარტამენტთან კავშირს პირველი კურსის დამთავრების შემდეგაც - აქტიურად მონაწილეობენ სამედიცინო ფიზიკის კონფერენციებში, გამოთქ-

ვებარტამენტის მიერ, კონფერენციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, თსუ-ის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების პრეზიდენტმა მიხეილ ჯანჯღავამ, ხაზი გაუსვა მონაწილე პირველკურსელთა მაღალ დაინტერესებას, საინტერესო პრეზენტაციების მომზადების ხარისხს.

როგორც მეცნიერი, ბევრ მოგზაურობით, ხშირად გინვით რადიაციული უსაფრთხოების საკითხების განხილვა, უცხოელ თავს უწოდებთ ერთად მასზე სჯაბასი. ჩვენთანაც არანაკლები სიმძაფრით დგას აღნიშნული პრობლემა, ანუ დიაგნოსტიკაში რადიოლოგიური გამოკვლევათა დიდი სიჭარბის გამო, იქნება გარკვეული საფრთხე. როგორ ფიქრობთ, რამდენად უსაფრთხო და დატვირთვად გრძნობთ თავს ექიმი და პაციენტი, როგორია საფრთხის რეალური მასშტაბი. უცხოური მონაცემებით ხომ უკვე დასტურდება ამ მიზეზით გამოწვეული ოკოდაავადებების რისკების ზრდა. რა კვლევები ან იგვემება პრობლემის მოსაგვარებლად?

თანამედროვე მედიცინის განვითარებასთან ერთად, სულ უფრო იზრდება ბირთვული და რადიაციული დიაგნოსტიკის და თერაპიის გამოყენების სფერო, რაც უკავშირდება ამ მეთოდების უნიკალურ ინფორმაციულობას და თერაპიულ ეფექტურობას. ცხადია, სამედიცინო დასხივება, ისევე, როგორც მაიონიზებელ რადიაციასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა საკმინაობა, გარკვეულ რისკებს შეიცავს თუმცა, ერთეულ პროცედურასთან დაკავშირებული რადიაციული რისკი მიზეზურადაა, გამოკვლევათა სისხშირის გამო, პოპულაციურმა დოზურმა დატვირთვებმა დრამატულ მნიშვნელობებს მიაღწია. აქედან გამომდინარე, ბირთვული და რადიაციული მედიცინის განვითარებასთან ერთად, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამ დარგში მომუშავე სპეციალისტების განათლებას და უსაფრთხოე-

2011) ნეურ ქვეყნებში „განათლებისა და ტრენინგების“ ინფრასტრუქტურის ეტაპობრივი შექმნა დეკლარირებულია. ამ მიმართულებით საქართველოში გადადგმულია კონკრეტული ნაბიჯები, კერძოდ, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო ფიზიკის და ბიოფიზიკის დეპარტამენტი და ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი მეტად ნაყოფიერად თანამშრომლობენ მედიცინაში რადიაციული დაცვის თანამედროვე სასწავლო-მეთოდური ბაზის შექმნის მიმართულებით. სულ ცოტა ხნის წინ, მე და ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის დირექტორი, პროფესორი დავით ნადარეიშვილი, გახლდით მე-2 საერთაშორისო კონფერენციაზე - „რადიო-პროტექცია მედიცინაში“ (30 მაისი - 2 ივნისი, 2014) ქ. ვარნაში. კონფერენციის ესწრებოდნენ რადიოლოგიის, რადიოფიზიკის და რადიაციული დაცვის სფეროში მომუშავე მსოფლიოს ნამეყვანი სპეციალისტები, სამედიცინო ფიზიკოსები, ინჟინრები, მარეგულირებელი, მმართველები, პაციენტთა ორგანიზაციების წარმომადგენლები, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და რადიაციული რისკის სპეციალისტები. კონფერენციის მსვლელობის პროცესში მოგვეცა საშუალება, დაგვემყარებინა კონტაქტები სხვადასხვა ქვეყნის სპეციალისტებთან. იმედოვნებ, რომ ეს კონტაქტები, საერთაშორისო კოლეგებთან გამოცდილების გაზიარება, ხელს შეუწყობს საქართველოში სამედიცინო რადიოპროტექციის მიმართულებით ერთიანი სახელმწიფო სტრატეგიის შემუშავებას.

რაც შეეხება რადიონდუქტიური ობიექტების რადიაციული დაავადებების რისკის ზრდას, თანამედროვე წარმოდგენებით, დასხივების მცირე დოზათა დიაპაზონში, რადიოაქტიური კანცეროგენების რისკი ადამიანებზე არა იმდენად დასხივების დოზაზე, რამდენადც პოპულაციის რადიომგრძობილობაზე. ქვეყნის პოპულაციის

რადიოაქტიური კანცეროგენების რისკების შეფასება რადიაციული უსაფრთხოების ახალი საერთაშორისო სტანდარტებით მოითხოვება. ამ მიმართულებით ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის რადიაციული უსაფრთხოების პრობლემათა ლაბორატორიაში აქტიურად მუშაობენ (დირექტორი, პროფესორი დავით ნადარეიშვილი, ლაბორატორიის ხელმძღვანელი, პროფესორი გიორგი ორმოცაძე). მათი ხელმძღვანელობით, საერთაშორისო გამოცდილებების შესწავლის, საქართველოს სპეციფიკაციაზე მისი ადაპტირების საფუძველზე, უნდა მოხდეს ახალი რეკომენდაციების შემუშავება და დანერგვა. ჩვენს დეპარტამენტს მჭიდრო სამეცნიერო კონტაქტები გააჩნია ამ ლაბორატორიასთან.

სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტები, თვენი ხელმძღვანელობით, სულ ახლახან, საერთაშორისო კვლევებში ჩართულობის თვალსაზრისით, წარმატებით წარდგინდნენ ფართო აუდიტორიის წინაშე და უარდლების ცენტრშიც მოექცნენ. იმედია, ახალგაზრდების დაინტერესება სამედიცინო-კვლევით საქმიანობით, კვლავ გაგრძელდება და მომავალი ექიმებიც მნიშვნელოვან სათქმელს იტვირთნენ როგორც სამედიცინო ფიზიკის (ბიოფიზიკის) განვითარების საქმეში, ასევე, ზოგადად, მედიცინაში.

მართალი ბრძანდებით, მიმდინარე წლის თებერვალში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით, ჩატარდა ზამთრის სკოლა ფიზიკაში, თემაზე - „სადიაგნოსტიკო მეთოდებისა და სამედიცინო აპარატურის მუშაობის პრინციპები“, ხოლო 16 მაისს სასტუმრო შერატონ მეტეხი-პალასში - 2013-2014 სასწავლო წლებში განხორციელებული ზამთრისა და ზაფხულის სკოლების შედეგების შემჯამებელი კონფერენცია გაიმართა.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროექტი - „სადიაგნოსტიკო მეთოდებისა და სამედიცინო აპარატურის მუშაობის პრინციპები“ - მამულები მოექცა საყოველთაო ყურადღების ცენტრში. პროექტში მონაწილეობას იღებდნენ არა მარტო თსუ-ის, არამედ ქუთაისის, ბათუმის და თელავის უნივერსიტეტების სტუდენტები (სულ 65 სტუდენტი). პროექტის მსვლელობის პროცესში სტუდენტებს ნაუკითხვს საინტერესო ლექციები როგორც თსუ-ის სამედიცინო ფიზიკისა და ბიოფიზიკის დეპარტამენტის პროფესორებმა, ასევე, უცხოეთიდან მოწვეულმა სპეციალისტებმა: პროფესორმა ნიკოლას პალიკარაკისიმ (პატარა უნივერსიტეტის სამედიცინო ფიზიკის დეპარტამენტი, საბერძნეთი), პროფესორმა დარულ ფიშერმა (ჯანმრთელობის უსაფრთხოების ფიზიკის ასოციაციის პრეზიდენტი, აშშ), პროფესორმა მარტინა ელასმა (კრაკოვის იაგლონის უნივერსიტეტის ბიოფიზიკის დეპარტამენტი, პოლონეთი). სტუმრებმა აღნიშნეს ქართველი სტუდენტების დიდი ინტერესი განხილული საკითხების მიმართ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობით, ხაზი გაუსვეს მათ მაღალი მოზაზღვების დონეს.

პროექტის ფარგლებში სტუდენტებს მიეცათ საშუალება დაეთვალიერებინათ კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის (აკად. ფ. თოდუას კლინიკის) ბაზაზე არსებული სადიაგნოსტიკო აპარატურა, ბერიტაშვილის ექსპერიმენტული მედიცინის ცენტრის სამეცნიერო ლაბორატორიები, გაცნობადნენ ცენტრის სამეცნიერო თემატიკას. ცენტრის დირექტორმა, პროფესორმა დავით ნადარეიშვილმა და ანავე ცენტრის რადიაციული უსაფრთხოების პრობლემათა განყოფილების ხელმძღვანელმა, პროფესორმა გიორგი ორმოცაძემ სტუდენტებს სამომავლო კვლევებში თანამშრომლობა და მხარდაჭერა შესთავაზეს.

ესაუბრა დარეჯან კოხლავაძე



2013-2014 სასწავლო წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, მედიცინის ფაკულტეტზე, წამამკვრივით დაიწყო დიპლომირებული მედიკოსის აბრევირებული პროგრამის, აბრევირებული პროგრამის (აპმ, ავლანტა) სამედიცინო სკოლის (ESOM) ერთდროული პრაქტიკის საფორმირება.

პრაქტიკის ფორმირებაში სტუდენტებს სამედიცინო ებრაული სწავლის, სამედიცინო უწყისა და პრაქტიკული საქმიანობის უწყისში გაიხატა ებრის უნივერსიტეტში. სწავლის დასრულების შემდეგ უნდა დასრულდეს დიპლომირებული მედიკოსის აკადემიური საბარისი მიწოდება.

დიპლომირებული მედიკოსის აბრევირებული პროგრამის

თანამედროვე მსოფლიოს მოთხოვნები ნებისმიერ სფეროში მაღალ სტანდარტებს საჭიროებს. მათ შორის ეს, რა თქმა უნდა, ეხება მედიცინასაც. უფრო მეტიც, განსაკუთრებით მომთხოვნი საზოგადოება სწორედ მედიკოსების მიმართაა ხოლო, პროფესიონალიზმისა და კომპეტენტურობის გარეშე კი წარმატების მიღწევა შეუძლებელია, ხოლო ამ

ფილოსოფია, ფსიქოლოგიას, მსოფლიო ლიტერატურას, მედიცინის ისტორიას. აპმ-ის ბევრ სამედიცინო სკოლაში მოცემული საგნების სწავლების მრავალწლიანი გამოცდილება არსებობს და ეს ყოველივე ემსახურება სამედიცინო დარგის არა მხოლოდ ვინაობა მიმართულების სპეციალისტის, არამედ როგორც ოცდამეერთე საუკუნის პროფესიონალი, ჰუმანური ექი-

სტუდენტებს სწავლის დაწყებიდანვე აქვთ შეხება პაციენტებთან, კლინიკურ მედიცინასთან, რაც, თავის მხრივ, ზრდის მათ მოტივაციას, დაინტერესებას. სწავლის პროცესში აქტიურად არის ჩართული ემორის უნივერსიტეტის პროფესორა. ისინი პერიოდულად სტუდენტებს თისუს-

ცენზიო გამოცდებზე გასულიყვენ, რისთვისაც ისინი, ინგლისური ენის ცოდნის გარდა, დამატებით მომზადებას საჭიროებდნენ. ახალი პროგრამით კი სალიცენზიო გამოცდებისთვის მზადება და მათი ჩაბარება სასწავლო პროცესის განუყოფელი

ბისთვის - 12 ათას აპმ დოლარს. საქართველოს მოქალაქეებისთვის, თსსუ-ის ადმინისტრაციამ მაქსიმალური ხელშეწყობის და პროგრამის ხელმძღვანელობის გაზრდის მიზნით, უპრეცედენტოდ დაუშვა და



ყველაფრის წინაპირობა მაღალი ხარისხის განათლების მიღებაა. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ამერიკა-გვასიაში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი და ტრადიციული უმაღლესი სასწავლებელია, რომელიც საინტერესო და მნიშვნელოვან ინოვაციებს საკმაოდ ხშირად სთავაზობს სტუდენტებს და ამ შემთხვევაშიც სიახლე მნიშვნელოვან ყურადღებას იმსახურებს.

მის ჩამოყალიბებას. უნდა აღინიშნოს, რომ სწავლების პირველივე წელს სტუდენტებს ეძლევათ საშუალება პაციენტებთან ურთერთობისა. პაციენტთან კომუნიკაციის უნარ-ჩვევების განვითარება და ჩამოყალიბება ძალიან მნიშვნელოვანია დანერგვის პირველივე დღიდან, რადგან პაციენტის მოვლის ხელოვნება მისი მოვლის გარეშე არ ისწავლება. სამედიცინო განათლების სფეროში, კერძოდ, დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის ფარგლებში, დაინერგა ახალი საგანი - „გახდე ექიმი“ (Becoming a Doctor). მოცემული დისციპლინა აპმ-ის სამედიცინო სკოლისთვისაა შედარებით ახალი (თუმცა, რამდენიმეწლიანი გამოცდილება უკვე არსებობს) და ეფუძნება მცირე ჯგუფურ, სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებას. „გახდე ექიმი“, თავისი შინაარსიდან გამომდინარე, სტუდენტს ეხმარება წლის განმავლობაში აქტიურად გამოიყენოს მიღებული ცოდნა პაციენტებთან მიმართებაში, განვიხილოთ ყველა ის უნარ-ჩვევა, რაც მას, როგორც პროფესიონალ ექიმს, აუცილებლად დასჭირდება.

და სტუდენტებთან ატარებენ ლექცია-სემინარებს, კერძოდ, ემორის უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლის პროფესორი, საქართველოსა და თბილისის საპატიო მოქალაქე, პროფესორი კენეტ ვოლკერი, გორდონ ჩერჩოლდი (სამედიცინო მიკრობიოლოგია და იმუნოლოგია), მერი ჯო ლეკოვიჩი (სამედიცინო ონკოლოგია), ჰოვარდ კუმერი (ნეირომეცნიერება, საზოგადოებრივი ჯანდაცვა) არჩილ უნდილაშვილი (საზოგადოებრივი ჯანდაცვა).

ნაწილია, რაც დროს, ენერჯისა და ხარჯებს ზოგავს.

პროგრამის მიზანია, აღზარდოს საერთაშორისო მასშტაბით კონკურენტუნარიანი და კვალიფიციური ექიმები, რომლებიც მზად არიან დიპლომის შემდგომი განათლებისა და სპეციალური მზადებისთვის როგორც საქართველოში, ასევე, მის საზღვრებს გარეთ. სწავლის პროცესში ბაზისური და კლინიკური დისციპლინები ინტეგრირებულია და სტუდენტს საშუალება აძლევს, სწავლის დაწყებისთანავე, აქტიურად იყოს ჩართული კლინიკურ საქმიანობაში და, ამავდროულად, განახორციელოს სამეცნიერო კვლევა.

შეიმუშავა სწავლის საფასურის თვიურად გადახდის მოქნილი გეგმა.

დასასრულ, ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ პროგრამა გულისხმობს სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებას, რომელიც თითოეულ სტუდენტს ინდივიდუალურად ეხმარება განვითარდეს ოცდამეერთე საუკუნის წარმატებული ექიმისთვის აუცილებელი ყველა უნარ-ჩვევა. პერიოდულად ეწყობა ინდივიდუალური შეხვედრები სტუდენტებთან და მათ პედაგოგებთან, ინტეგრირებული სემინარები, რაც საშუალებას იძლევა სწავლების პროცესი ობიექტურად შეფასდეს და მუდმივად განვითარდეს. ასევე, მოქმედებს სტუდენტთა სოციალური მრჩეველის სამსახური, რაც, რა თქმა უნდა, სტუდენტების ინტერესებს ემსახურება.

ალსანიშნავია ისიც, რომ პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს საშუალება მიეცემათ სწავლის, სამეცნიერო კვლევისა და პრაქტიკული საქმიანობის ეტაპები გაიარონ ემორის უნივერსიტეტში. სწავლის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს დიპლომირებული მედიკოსის აკადემიური ხარისხი მიენიჭება. ამასთან, სამეცნიერო კვლევაში აქტიურად ჩართულ სტუდენტს დიპლომირებული მედიკოსის (M.D.) ხარისხთან ერთად, შესაძლებლობა ეძლევა დამატებით აიღოს მაგისტრის ხარისხი მედიცინის მეცნიერებაში (Master of Medical Science), განსაკუთრებული წარმატების შემთხვევაში - დოქტორის ხარისხი (Ph.D.).

სტუდენტებო, გახსოვდეთ, რომ ჩვენ თქვენს სამსახურში ვართ.

მსურველთა პროგრამაში ჩართვა საქართველოს მოქალაქეებისთვის ერთიანი ეროვნული გამოცდების საშუალებით განხორციელდება. დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია შემდეგ ნომერზე: 2 54 24 49;

ელ.ფოსტა: USMDprogram@tsmu.edu

ბაქა პასტაქი, ნიკოლოზ შავერაძე, თეა თოდუა, დიპლომირებული მედიკოსი ამერიკული პროგრამის კოორდინატორთა ჯგუფი



თქვენ საუკეთესო არჩევანი გააკეთეთ!

ახალი სასწავლო წელი ყოველთვის განსაკუთრებული მოვლენაა – ახალი პროგრამები, პროექტები, სტუდენტები, ემოციები, მოლოდინი და, რაც მთავარია, – უმნიშვნელოვანესი ეტაპი პირველკურსელთათვის.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის სახელით, მსურს ახალი სასწავლო წელი განსაკუთრებით მივულოცო ჩვენი უნივერსიტეტის პირველკურსელებს და ვუსურვო წარმატებები ყველაზე საპასუხისმგებლო, ჰუმანური და, ამავედროულად, საპატიო პროფესიის შესწავლის პროცესში, შემდგომში კი – ექიმისთვის ჩვეული ერთგულება და საქმისადმი სიყვარული, პაციენტზე ზრუნვა და წარმატებული პროფესიული საქმიანობა. სამედიცინო უნივერსიტეტი მუდამ გამოირჩევა განსაკუთრებულად ნიჭიერი და შრომისმოყვარე სტუ-

დენტებით და სასიხარულოა, რომ ეს ტენდენცია დღესაც გრძელდება.



ჩვენს უნივერსიტეტში ყველა-ნაირი პირობაა შექმნილი ახალგაზრდობის ნიჭისა და მრავალმხრივი უნარ-ჩვევის სრულყოფილად გამოსავლენად. სწავლის პროცესში დარწმუნებით, რომ ნამდვილად საუკეთესო არჩევანი გააკეთეთ. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა, პროფესორ-მასწავლებლები, უფროსი კოლეგები ყოველდღიურად იზრუნებენ იმაზე, რომ

ინტელექტუალური შესაძლებლობები, პიროვნული თვისებები და მოტივაცია მაქსიმალურად გამოავლინოთ. გარდა სასწავლო პროცესისა, გექნებათ შეუზღუდავი შესაძლებლობა განსაკუთრებული აქტიურობით ჩაერთოთ მრავალფეროვან სტუდენტურ ცხოვრებაში. ყველა პირობა გექნებათ შექმნილი იმისთვის, რომ ძირფესვიანად დაეფუძოთ არჩეულ პროფესიას და წარმატებული კარიერისთვის საჭირო უნარ-ჩვევებს.

ღირსეულად გეტარებინოთ სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტის მეტად საპატიო და საპასუხისმგებლო სტატუსი. ჩვენს ქვეყანას უკეთესი მომავალი სჭირდება, მომავალი კი თქვენს ხელთაა. გპირდებით საინტერესო და აქტიურ სტუდენტურ ცხოვრებას!

გიუსურვებთ წარმატებებს!
პანა აბულაძე,
თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი

ხსოვნა ბიძინა ჭუმბურიძე



(1946-1954), დოცენტის (1954-1966), პროფესორის (1966-1973), კათედრის გამგის (1973-1996) რანგში ამაყად განვლო პროფესიული და აკადემიური კარიერის ყველა ეტაპი და ქართველ ფარმაცევტთა რამდენიმე ათეული თაობის პროფესიული მსოფლმდგენლობის ჩამოყალიბებაში მიიღო მნიშვნელოვანი მონაწილეობა. ბიძინა ჭუმბურიძის მდიდარ შემოქმედებაში გამოთქმული პიროვნული ინტენსიური კვლევის საგანი იქნება კიდევ მეცნიერთა არაერთი თაობისთვის.

ბატონმა ბიძინამ ჭუმბურიძე პროგრესულმა ადამიანმა – იმთავითვე გაითავისა უმაღლესი განათლების თანამედროვე ტენდენციები და იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც ფარმაციის ბაკალავრებს შესთავაზა სამაგისტრო პროგრამა – „ფარმაცევტული ანალიზი“. პროგრამის ფარგლებში ბატონი ბიძინა სიცოცხლის ბოლო დღეებამდე განაგრძობდა ცოდნის და გამოცდილების გადაცემას მომავალი სპეციალისტებისთვის. ბოლო წლებში ბატონი ბიძინას – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორის მრჩეველთა საბჭოს წევრის, ღირსების ორდენის კავალერი, სამედიცინობიოლოგიური აკადემიის და სოციალური მედიცინის აკადემიის აკადემიკოსი.

ბატონმა ბიძინამ ჭუმბურიძე პროგრესული ინსტიტუტის დამაფუძნებელია, 1945 წლიდან, ცხოვრება და საქმიანობა დაუკავშირა ადამიანის ჯანმრთელობაზე ზრუნვისა და მისი შენარჩუნებისთვის მეტად მნიშვნელოვან სფეროს. ბატონი ბიძინა სიცოცხლის ბოლო დღემდე ღირსეულად ემსახურა საყვარელ საქმეს. მისი მეცნიერული ინტერესის სფეროს თითქმის შეიძლება ათეული წლის განმავლობაში ფარმაცევტული ქიმია, ფარმაცევტული ანალიზი, სამკურნალო-ნაშრომ პროპარატების ფარმაკოკინეტიკის, ქრომატოგრაფიული ანალიზის, ნარკოლოგიურ-ტოქსიკოლოგიური ანალიზის, სამკურნალო პროპარატების სტანდარტიზების რთული და ღრმა მექანიზმების ფუნდამენტური კვლევა შეადგენდა. ამ მიმართულებით იგი რამდენიმე სახელმძღვანელოს, ოცამდე გამოგონების და საავტორო მონომონის, 250-ზე მეტი პუბლიკაციის, მათ შორის, რამდენიმე მონოგრაფიის ავტორი და თანაავტორია, რომელთა უმეტესობა ქრესტომათიულია ფარმაციის ამ მიმართულებით დაინტერესებული სპეციალისტებისთვის; მისი ხელმძღვანელობით ორი ათეული საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციაა შესრულებული, გამოკვლეულია ორასამდე სამკურნალო საშუალება, მათგან რამდენიმე ათეულის შესახებ მომზადდა ნორმატიული დოკუმენტაცია და დაინერგა სერიული წარმოება.

ბიძინა ჭუმბურიძის მოღვაწეობის არაერთი საკმარისად ფართო იყო: წლების განმავლობაში იგი, აქტიურ, ნაყოფიერ აკადემიურ და კვლევით საქმიანობასთან ერთად, ჯანდაცვის სისტემის ორგანიზებაშიც მონაწილეობდა. იყო რა საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარი პროფიზორი, აქტიურად მონაწილეობდა წამლის ხარისხის კონტროლის და სტანდარტიზაციის ინსტიტუტის ჩამოყალიბებაში, მაგრამ მისი გული მაინც სტუდენტებს ეკუთვნოდა. მან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფარმაცევტული ქიმიის კათედრის ასისტენტის

სამედიცინო უნივერსიტეტის თანამშრომლებსა და სტუდენტებს ორიოდე თვის წინ ჰქონდათ სასიამოვნო შესაძლებლობა – სათანადო პატივით მიელოცათ ბატონი ბიძინასთვის 90 წლის იუბილე და კიდევ ერთხელ დარწმუნებულიყვნენ მის კრეატიულობასა და სიმხვევში. სამწუხაროა, რომ ეს ბოლო საქმიანი შეხვედრა და საუბრები იყო მასთან...

ბატონი ბიძინა ჭუმბურიძის კომპეტენტურობა, ავკარგავინება, პრინციპულობა და ახალგაზრდული შემართება, მიუხედავად მისი დარბაისელი ასაკისა, მუდამ მისაბაძი იქნება მომავალი თაობებისთვის, მრავალრიცხოვანი სტუდენტებისთვის, კოლეგებისთვის; მის გზას და სახელს დღეს მისი ღირსეული შთამომავლობა აგრძელებს.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

მნიშვნელოვანი მიღწევებით

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი საინტერესო და მრავალფეროვანი კულტურული და სპორტული ცხოვრება გელით. ჩვენს უნივერსიტეტში ფუნქციონებს სპორტის და ხელოვნების ცენტრი (ხელმძღვანელი **ზაურ ფხალაძე**, მოადგილე **ბადრი მაჭავარიანი**) რომელიც აერთიანებს სიმღერისა და ცეკვის სახალხო ანსამბლს, ფოლკლორულ, საესტრადო, სამეფლისო ანსამბლებს, დრამატულ თეატრ „**პიტიას**“ (რეჟისორი **ნათია გუჯაბიძე**), მხიარულთა და საზრიანთა კლუბის გუნდ „**კოხა ნოსტრას**“, კლასიკური მუსიკის განყოფილებას (ხელმძღვანელი **გოდერძი ჩიტაიშვილი**), სადაც კლასიკური მუსიკის მოყვარულებს შესაძლებლობა ექნებათ თავიანი ნიჭი და უნარი აღნიშნულ სფეროში სრულად გამოავლინონ.

აღსანიშნავია ახალგაზრდა სპორტსმენების სპორტული მიღწევები სხვადასხვა სახეობაში, კერძოდ: ფეხბურთში, კალათბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, ფრენბურთში, ბადმინტონში, ჭადრაკში... უახლესი ტექნიკით აღჭურვილი ტრენაჟორების დარბაზი სტუდენტების აქტიური დასვენებისა და სპორტული ცხოვრების განუყოფელი ნაწილია.

სიმღერისა და ცეკვის სახალხო ანსამბლ – „ქართული ფოლკლორი“ (ხელმძღვანელი **ბადრი მაჭავარიანი**) სულ მალე დაარსებულ 30 წელი უსრულდება. უნდა ითქვას, რომ ანსამბლი ამ საიუბილეო თარიღს მნიშვნელოვანი მიღწევებით ეგებება – იგი არაერთი ჯილდოს თუ პრიზის მფლობელია არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნის მასშტაბით, არამედ საერთაშორისო ასპარეზზე.



„ახალგაზრდები – მოსახლეობის ჯანმრთელობისთვის“

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის **საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტი** შესაშურ აქტიურობასა და მოტივირებას აჩვენებს, რაც აუცილებლად დანახული და აღქმული უნდა იქნას სწორად და მიზანმიმართულად. ჩვენი კიდევ ერთი ასალი აქტიურობა პირდაპირ კავშირშია გლობალურ ჯანმრთელობასთან, პროფილაქტიკასთან, პრევენციასთან, სანიტარობასთან და ა.შ.; სტუდენტები და აკადემიური პერსონალი ყველაწივად ცდილობენ დასახული მიზნების სათანადოდ ამაღლებას და პერსპექტივების წარმოჩენას.

ერთ-ერთი ასეთი ორგანიზაცია, რომლის მიზანია: **ხელშეწყობა ჯანსაღი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისთვის;** **ხელშეწყობა ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების წარმოებისთვის;** **მოსახლეობისა და ჩვენი მომავლის დაცვა გარემოს არახელსაყრელ ფაქტორთა ზემოქმედებისგან;** **გადამდები და არაგადამდები დაავადებების პრევენცია;** **ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და დაცვის ხელშეწყობა;** **მოსახლეობაში ელემენტარული სანიტარულ-ჰიგიენური მოთხოვნების დამკვიდრება.**

არიან თსუ-ის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტები: **მარიამ ბერიძე, მარიამ მაჭავარიანი და ანი ბერია.** ორგანიზაცია უკვე არაერთი პროექტის ავტორი და ერთაშემსხმელია. ერთ-ერთი ასეთი პროექტის – „**მოზარდები განათლების ამაღლება ჯანმრთელობის საკითხებში**“ – პრეზენტაცია დედაქალაქში, „**ბავშვთა სოფელში**“ მცხოვრები მოზარდებისთვის გაიმართა. პროექტის განხორციელებაში მონაწილეობა მიიღო ფონდმა „**აუერსმა**“, რომელმაც პირადი ჰიგიენის ნივთები გადასცა ორგანიზაციას.



მარიამ მაჭავარიანი და მე. ლონისძიებში მაქსიმალურად იყო ჩართული ორგანიზაციის თითოეული წევრი.

წარმოდგენილმა თემებმა დიდი ინტერესი გამოიწვიეს მსმენელში. ორგანიზაციამ ხელშეკრულება გააფორმა „**ბავშვთა**

სოფელთან“, რაც კიდევ ბევრი სხვა პროექტის განხორციელებას ითვალისწინებს. სექტემბერ-ოქტომბრის თვეში დაგეგმილია კიდევ ორი პროექტი. სამომავლოდ ისევე გაგრძელდება მუშაობა ამ მიმართებით, რაც, ფერხობით, საზოგადოების ინფორმირებასა და, აქედან გამომდინარე, ჯანმრთელობის განმტკიცების ერთ-ერთი ნიშანია.

წარმატებას ვუსურვებთ ერთ-ერთი ალსავე ორგანიზაციის წევრებსა და დამფუძნებლებს, ვუსურვებ კიდევ ბევრი ისეთი პროექტის დაგეგმვასა და განხორციელებას, რომელიც პროფილაქტიკური მედიცინის სრულყოფასა და მისი კომპეტენციის ამაღლებას ისახავს მიზნად.

გიორგი ბაგაშა,
თსუ-ის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის სტუდენტი

„სამედიცინო გაზეთი“
რედაქცია:
ვაჟა-ფშაველას გამზირი №33, ოთახი №600, ტ.: 254-24-64
რედაქტორი: **დალი გაგაშია**
ტ.: 599 76 25 98
კორექსონდენტები: **მანანა ფხალაძე**
ტ.: 555 29 98 27
დარეზან კომლაძე
ტ.: 558 17 08 47
ნატო გოლჭავაძე
ტ.: 555 28 28 97
ელ-ფოსტა: **medpressa@yahoo.com**

ჩვენს წიგნებში
ჩვენს კვირეულში – „გარემოს მედიცინის საფუძვლები“, თბილისი, 2014 წ., 220 გვ., 15 ცხრილი, 16 სურათი.
მოსახლეობის ცხოვრებისა და საქმიანობის ნორმატიული პირობების შექმნა და ჯანმრთელობის დაცვა, ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის შენარჩუნების საშუალებათა ძიება სამედიცინო მეცნიერებისა და, უპირატესად, საზოგადოებრივი ჯანდაცვის, უპირველესი ამოცანაა.
გარემოს მედიცინის ფუნდამენტური საკითხების ცოდნა სამედიცინო მეცნიერების ყველა მიმართულების სპეციალისტებისთვის აუცილებლობას

წარმოადგენს, რამდენადაც გარემოს მედიცინა გარემოს მდგომარეობასა და მოსახლეობის ჯანმრთელობას შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გამოვლენის საფუძველია. ეს უკანასკნელი შესაბამისი გამაჯანსაღებელი პროფილაქტიკური ღონისძიებების შემუშავების ნიშანია.
სამედიცინო მეცნიერებისა და პრაქტიკული ჯანდაცვის აღნიშნული მიმართულებით მუშაობის უზრუნველყოფის ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორია სათანადო კვალიფიკაციის სპეციალისტების მოზადება.
აქედან გამომდინარე, დღის წესრიგში დადგა სათანადო სახელმძღვანელოს მოზადება გარემოს მედიცინის სფეროში, რაც გარკვეულ წვლილს შეიტანს პრობლემის გადაჭრაში.
წარმოდგენილი სახელმძღვანელო პირველია ქართულ ენაზე გამოცემული გარემოს მედიცინაზე.
სახელმძღვანელო შედგება 7 თავისგან და თანმიმდევრულად განხილული გარემოს მედიცინის აქტი-

ალური საკითხები, რომელთა შესწავლა ხელს შეუწყობს სტუდენტის პროფესიული ცოდნის ღონის ამაღლებას.
სახელმძღვანელოში, დანართის სახით, წარმოდგენილია განხილული საკითხების ათვისების ხარისხის მაკონტროლებელი ტესტები, აგრეთვე, სიტუაციური ამოცანების კომპლექსის ნიმუშები.
სახელმძღვანელო განკუთვნილია უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლების სტუდენტებისთვის (საბაკალავრო და სამაგისტრო სასწავლო პროგრამების მსმენელებისთვის), შესაბამისად თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში მოქმედ სასწავლო გეგმას (კურიკულუმს) და მოცემული დისციპლინის (გარემოს მედიცინა) სასწავლო პროგრამას (სილაბუსს); მასში გადმოცემულია დისციპლინის ყველა ის ძირითადი საკითხი მოქმედი სასწავლო პროგრამის ფარგლებში, რომლებიც არ არის შესული გარემოს მედიცინის მიმართულების დისციპლინების (ბუნებრივი გარემოს

ჰიგიენა, ხელოვნური გარემოს ჰიგიენა, რადიაციული ჰიგიენა, შრომის ჰიგიენა) სახელმძღვანელოებში და ძირითადად, განკუთვნილია უმაღლესი სამედიცინო დაწესებულებების საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისთვის, თუმცა, მათთან ერთად, ნიგნი დახმარებას გაუწევს სადოქტორო პროგრამების მდგომარეობისა და მოსახლეობის ცხოვრების სანიტარულ პროგრამებსა და ჯანმრთელობაზე მათი გავლენის (გარემოს მედიცინის) შესწავლით დაინტერესებულ სხვადასხვა სპეციალისტების პირებს.
სახელმძღვანელოს რედაქტორია **ლალი ბაქრაძე**, მედიცინის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი.
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ იგი დამტკიცებულია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სახელმძღვანელოდ.